


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 26 ივნისი 21 1898 წ. № 26

შინაარსი: ქართველი მოწაფენი საშუალო სასწავლებლებში ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—დასასრულის დასაწყისი ნ. ჟ.—კვალის კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე—მდინარე ტეხურს ლექსი, თ. როსტომ გუძა ჩიქოვან-სა.—ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საყურადღებოთ თ. პ. წულუკიძისა.—მგზავრის შენიშვნები (გაგრძელება) ფ. პაჭრიშვილისა.—ჩემი სურათი (გაგრძელება) ბე—ლისა.—წერილები რედაქციის მიმართ.—საქველ-მოქმედო საქმე და კვალის ფოსტა.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

№ VI „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს.

კვალის ხელის მომწერლებს მოვაგონებთ ვისაც ფული არ შემოუტანიათ დროზე შემოიტანონ, თვარა პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ.

## ქართველი მოწაფენი

### საშუალო სასწავლებლებში.

მკითხველი, უეჭველია, ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ წელს ძლიერ ცოტა ქართველობამ დაასრულა საშუალო სასწავლებლები. კურს დამთავრებულთა რიცხვი ისე მცირეა, რომ არც კია ეს სახსენებელი და ძალა უნებურად ჰკითხავთ თქვენ თავს: რა არის ამის მ ზეზი? რით უნდა აიხსნას ეს მოვლენა? იყო დრო, როცა ამას ქართველების ვითომ დაუნიჭობით ხსნიდენ, მარა ეს დღეს აღარავის სჯერა, არ სჯერა თვით ამ მოძლვრების მქადაგებლებსაც. თუ სასწავლებელს ვერ ასრულებენ ეს იმიტომ კი არა, რომ ეგზამენს ვერ იჭერენ, სწავლაში უნიჭობას იჩენენ, არამედ იმიტომ, რომ ქართველ მოწაფეთა რაოდენობაა მცირე და რასაკვირველია, მცირემაც უნდა გაათაოს. მაგ. შარშან თფილისის ოთხ-საშუალო სასწავლებელში სულ ირიცხებოდა 2544 შეგირდი, ამაში ქართველი კი 365 იყო. ეს საქართველოს დედა-ქალაქში, საქართველოს ცენტრში! და რაც უფრო საკვირველია სხვა ერებთან შედარებით. ქართველ მოწაფეთა რიცხვი ამ უკანასკნელ 15 წელიწადს თან-და-თან კლებულობს. მაგ. 1878 წ. რეალურ სასწავლებელში ქართველობა შეადგენდა $4,6^0/_0$, ხოლო 1893 კი $2,6^0/_0$. სამასწავლებლო ინსტიტუტში იმავე დროს ქართველობა ითვლებოდა $39,5^0/_0$ და შემდეგ $28,6^0/_0$ და სხვ.[1]) აშკარაა, წინ სვლის მაგიერ თანდათან უკან-უკან ვიხევით და სხვებს ვუთმობთ ადგილს. რას ნიშნავს ეს? ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ამ უკანასკნელ 15—20 წელიწადში ქართველ ხალხმა ერთი დიდი

---

[1]) იხ. იაკობ გოგებაშვილის „къ Вопросу о поднятіи уровня оброзованія..“

კ. მარქსის ს.ჯ. ს.კ. ...
სახ...

ბიჯი წადგა წინ განვითარების გზაზე, ახლა გამოდის რომ მას ერთი დიდი ბიჯი უკან გადაუდგამს განათლების გზაზე. ნუ თუ ეს ორი მოვლენა ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგება? თუ წინ წავედით, უკან რაღაფერ ჩამოვრჩით და თუ უკან წავედით, წინ საიდან ვიქნებით. ორში ერთი: ან მართლა გავმძლავრდით და განვითარდით, ან და ყველა ეს უბრალო ოცნების ნაყოფია და ჩვენც უკან უკან, სამარისაკენ მივისწრაფვით. ვინც ერის განვითარებას „კურსოვნიკთა" რიცხვით ზომავს, ის უეჭველათ უკანასკნელი შეხედულობის უნდა იყოს. ამათში ვინც პატიოსანი და გულ-წრფელია პირდაპირ აღიარებს ამ თავის უ-მედობას და გულ-ხელ დაკრეფილი მოთქვამს: ვიღუპებით, ხსნა არსად არისო. ხოლო უპატიოსნო და ანგარების მიმდევარი ფიქრობს: სულ ერთია, ჩვენი საქმე ხომ წასულია, ისევ ჯობს ეს პირადი სარგებლობისთვის მაინც გამოვიყენოვო. მაგრამ ის ვინც წინ-მსვლელობის ღერძს ერის ნივთიერ ყოფა-ცხოვრებაში ეძებს, თავისუფალია ასეთი სასო წარკვეთილებისაგან და თამამათ აცხადებს: ჩვენ კი არ ვიღუპებით, არამედ ვმძლავრდებით და ვმაგრდებითო. და მართლაც, ამ 20—25 წელიწადში ქართველთა ნივთიერი პირობები ერთიანათ შეიცვალენ, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და მიმოსვლა აღორძინდა და მით მთელი ცხოვრების საძირკველი შეირყა. ჩვენ დღეს იმ ხანაში ვართ, როცა ხალხის ძველებური ურთიერთობა ირღვევა და მის ალაგას ახალი მუშავდება. ეს კი ერთი ცხოვრებიდან მეორე ცხოვრებაში გადასვლის ნიშნავს. და აი, სწორეთ აქ არის იმის მიზეზი, თუ რატომ ქართველ მოსწავლეთა რიცხვი საშუალო სასწავლებლებში ასე ცოტაა. ავხსნათ.

ჯერ ერთი ვიკითხოთ: ერის რომელი ნაწილი გზავნის თავის შვილს საშუალო სასწავლებელში? მუშა-ხალხს და გლეხ-კაცობას, ცხადია, აქეთ ხელი არ მიუწვდება, და თუ ამათგან თითო-ოროლა ასეთ სასწავლებლის კედლებში მოხვდება – ეს უფრო ბედნიერი შემთხვევაა და სახეში მისაღები არ არის. მეორე მხრით, მაღალი არისტოკრატია ვერ მოგვცემს მოსწავლეთა უმრავლესობას, ვინაიდან ეს კლასი რიცხვით მცირეა და ნაყოფიერებასაც მოკლებულია. უშვილო არისტოკრატი უფრო ხშირია, ვინემ შვილიანი. დაგვრჩა საშუალო კლასები, სხვა და სხვა შეძლების და მდგომარეობის წრეები, საიდანაც გამოდიან მოსწავლენი და შეადგენენ სკოლის ახალ გაზდობის ძედა-ძარღვს. რომელია ეს—კლასები? ესენია: მემამულე, მოხელე, ვაჭარი, მრეწველი და სხვა-და-სხვა აღებ-მიცემის ხალხი. აი ამათ მდგომარეობასთან მჭიდროთ შეკავშირებულია სწავლა-განათლების მდგომარეობაც. განვიხილოთ ესენი ცალ-ცალკე. ქართველ მემამულეს ჯერ კიდევ შესამოცე წლებში დაპბერა ახალმა სიომ, მას აღძრა მრავალი ახალი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელი შეიქნა. პირველი ალაგი აქ უთუოთ შვილის გაზდას უჭირავს. მემამულე თითონ ცხოვრობდა ძველებურათ თავის მამულში, ხოლო შვილს ქალაქში აგზავნიდა სასწავლებელში. ამ ხარჯს ის უძლებდა მით უფრო, რომ თავისი პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ დიდ ფულს არ საჭიროებდა, ფულს ის შვილს ახმარდა, და თვითონ შინაურულათ იოლათ მიდიოდა. ამიტომ ის არც მამულს აგირავებდა და არც ვალების აღებას ეტრფოდა. მარა აი, მამები დაიხოცენ და შვილებს დარჩათ ბურთი და მოედანი. ესენი, როგორც ქალაქში გაზდილნი, სულ სხვა მოთხოვნილებით და შეხედულობით დაბრუნდენ თავის მამულში. ამათში ზოგმა სწავლა დაასრულა, ზოგმა კი ვერა, მარა ცხოვრების გემო ორივეს შეეცვალა, ორივეს დიდი ფული დაჭირდა. ამ უსაზღვრო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს კურსოვნიკი თავისი ჯამაგირით, და არა კურსოვნიკი თავისი მამულით. აი აქ იწყება მამულის გაყიდვა თუ დაგირავება ამ ახალი კაცების მიერ. მოწინავე წოდება თანდათან ვალის ბადეში ეხვევა და ნივთიერათ ლატაკდება. მას ახლა გაუჭირდა არა მარტო შვილის გაზრდა, არამედ თავის თავის რჩენა, თავის შინაური მოთხოვნილების გასტუმრება, და ეს პროცესი უფრო და უფრო მძლავრდება და ბრწყინვალე წოდება უფრო და უფრო დაბლა ეშვება. ცხადია, აქედან გამოსულ მოსწავლეთა რიცხვიც უნდა შემცირებულიყო საშუალო სასწავლებლებში. თავად-აზნაურობა დამარცხდა არსებობისთვის ბრძოლაში, მაშასადამე მისი შვილებიც უნდა დამარცხებულიყვნენ განათლებისთვის ბრძოლაში. მეორე მხრით, რაკი განათლების მოპოება ასე ძნელი შეიქნა, ძნელი შეიქმნა მოხელეობის მოპოებაც. ქართველ მოხელეთა რიცხვი შემცირდა და მაშასადამე უნდა შემცირებულიყო მათი შვილების რიცხვი სასწავლებლებში.

ამ ნაირათ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებამ უკან დააქანა თავად-აზნაურობა, ეიწროთ შემოფარგლა მოხელეობის ასპარეზი და ეს ორი გარემოება შეიქნა მიზეზათ ქართველ მოსწავლეთა დაკლებისა საშუალო სასწავლებლებში.

მარა იგივე ეკონომიური განვითარება აქ არ ჩერდება. მან წამოაყენა სხვა ახალი კლასი, რომელიც მთელ ცხოვრებას ნელ-ნელა საფუძვლათ ედება. ეს გახლავს ვაჭარი ხალხი ანუ ბურჟუაზია. მისი წევრები იკრიბებიან ყველა წრეებიდან, განსაკუთრებით კი გლეხ-კაცობისაგან. ეს კლასი ახალი ფეხ-ადგმულია

და ამიტომ ჩვილი და განუვითარებელია. იმას ჯერ კიდევ უჭირს, იმდენი მოიგოს რომ თავიც ირჩინოს და შვილსაც ასწავლოს. ხოლო შვილის გაზდის სურვილი ყველაზე უფრო სწორეთ ამ ხალხს აქვს. ეს იმიტომ რომ ჩვენი ცხოვრება წოდებრივ პრინციპზე არის აგებული დაბალი წოდების კაცს, თუნდაც ის შეძლებული იყოს, ჯერ-ჯერობით ძალიან ეძნელება მაღალ წრეებში შესვლა, იმას აქ არ ღებულობენ, ხოლო განათლება, დიპლომი რამოდენიმეთ ჰფარავს მის დაბალ შთამომავლობას, „წმენდს“ მის გვარიშვილობას, ასპეტაკებს მის ვინაობას და მით უფლებას აძლევს უმაღლეს წრეებშიაც იტრიალოს და მაღალი შთამომავლობის პირს გვერდში ამოუდგეს. განათლებულ გლეხ კაცს აზნაურზე უფრო მოაქვს თავი, ხოლო განათლებული მოქალაქე თავადსაც კი წააცილებს. ერთი სიტყვით განათლების სურვილი დაბალ წრეებში უფრო ძლიერია, ვინემ მაღალში, მარა ამის ასრულება უფრო ბურჟუაზიას ემარჯვება. და რამდენათ ჩვენი ბურჟუაზია გამდიდრდება და გალონიერდება იმდენათ მეტ შვილს შეიყვანს საშუალო სასწავლებლებში და გაათავებიებს უმაღლეს სასწავლებელს. და რადგანაც დღევანდელი ხანა ბურჟუაზიული ხანაა და ჩვენც ამ ხანაში ჩავდექით, ამიტომ ქართველ მოსწავლეთა რიცხვიც გამრავლდება და საშუალო სასწავლებლების ერთ უძლიერეს ლერძათ შეიქნება. აქედან სრულებით გამორიცხულია მუშა-ხალხი და ეს კითხვა მას არც კი აინტერესებს.

ამგვარათ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა წარმატებამ შეარყია ძველი ნივთიერი წყობილება, უკან დასწია მემამულეთა წოდება და წინ წამოაყენა ახალი კლასები პირველმა ხელიდან გააგდო მოწინავეობის დროშა, ხოლო მეორე, ჯერ ჯერობით, ისე ძლიერი არ არის რომ მას დაეპატრონოს. აქედან, საერთო კრიზისია, საერთო უძლურება ყველა კლასებში. ამან დაბადა კრიზისი სწავლა-განათლებაში და ქართველობა შეამცირა საშუალო სასწავლებლებში. ეს კრიზისი შესუსტდება და ბოლოს გაჰქრება იმდენათ, რამდენათ დაწყებული ეკონომიური პროცესი სწრაფათ იწარმოებს, რამდენათ ძველი წოდებრივი ურთიერთობა ჩქარა დაიშლება და მის ალაგას ახალი ურთიერთობა ჩადგება, ახალი კლასები გაძლიერდება და ახალი ცხოვრება აღორძინდება. ჩვენი ერის ძირითადი მიდრეკილებაც აქეთ არის...

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

თფილისის სახალხო თეატრისთვის უკვე მოგროვდა ექვსი ათასი მანეთი. ამ ფულით სურთ თეატრისთვის განსაკუთრებითი სადგომი ააშენონ.

—

თფილისის „კონკამ“ ბევრს გაულევია მადა, ვინიცის ვინ არ თხოულობს ჩვენ მოგვეცით იჯარით, ჩვენო. ახლა თფილისის კაპიტალისტთა ამხანაგობა დგება „კონკის“ ხელში ჩასაგდებათ.

—

თფილისის პოლიცმეისტერის ცნობებიდან ჩანს, რომ გასულ წელს ქალაქში ყოფილა 274 ფაბრიკა და ზავოდი, სადაც 4,651 მუშა მუშაობდა. ხოლო აქ ნაწარმოებთა ფასი ამავე ხნის განმავლობაში ექვს მილიონამდის ავიდა (5.812,996 მ.). მაშასადამე თითო მუშას ათას ორას მანეთზე მეტის საქონელი უკეთებია. გარდა ამისა კიდევ ყოფილა 4,605 სხვა-და-სხვა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებები, რომელთა მთელი აღებ მიცემობა უდრის 25 მილიონ მანეთს.

—

თფილისის სახელოსნო გამგეობის ცნობებით, თფილისში გასულ წელს ყოფილან 2,185 სახელოსნო, 2,747 სხვა-და სხვა ხელობის ალა, 2,807 თანაშემწე და 2,027 შეგირდი.

—

თფილისის ქართველ ხელოსნებმა შეადგინეს ამხანაგობა „შრომა“. ამხანაგობამ გამართა კუკიის ხიდზე საკუთარი ქარხანა. ჯერ-ჯერობით წევრათ 73 ხელოსანი ჩაეწერა.

—

წელს 28 მაისს ქართველ ფარმაცევტებმა დააარსეს სააფთიაქო სავაჭრო ამხანაგობა — თითო პაი ღირს ხუთი თუმანი, ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც. პირველათ უნდა შეიტანონ არა ნაკლებ ათი მანეთისა. ადრესი: ბანკის ქარვასლა, დავით კარეჭაშვილს.

—

თფილისის 99 სხვა-და-სხვა სასწავლებელში გასულ წელს სწავლობდა 10,266 ვაჟი და 5,571 ქალი. ათას მცხოვრებზე მოდის 11 მოსწავლე.

—

მასწავლებელ დუმბაძეს, რომელიც სასამართლომ შეშლილათ იცნო, ამ ჟამათ შვენიერი ხორო შეუდგენია მეტეხის ციხეში ტუსაღებისაგან და აგალობებს. აი „შეშლილთა“ მოღვაწეობა.

—

16 ამ თვეს საჯაროთ გაიყიდა ბანკში დაგირავებული 6 მამული, ორი მამულის მუშტარი არ გამოჩნდა, გაყიდულ მამულებზე ირიცხებოდა 29,057 მ. ვალი.

—

დასავლეთ საქართველოში ამ ჟამათ აბრეშუმის პარკის გაცხარებული ვაჭრობაა. ფასებმა შესამჩნევათ აიწია, ალაგ-ალაგ 15 მანეთამდის ადის ფუთი.

—

სოფ. მეტეხიდან (ქართლი) გვწერენ: აქაურ სასოფლო სკოლაში ეს ექვსი თვეა ქართულს აღარ ასწავლიან. ამის მიზეზია ის, რომ აქაური მასწავლებელი ბ. გ. წულუკიძე თავისივე თხოვნით თფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში გადაიყვანეს. მის ნაცვლათ აქ დანიშნეს ბ. გრიგოლ ბიბლიანცი, რომელმაც ქართული რიგიანათ არ იცის და დანიშვნის დროსაც განუცხადა ბ. ინსპექტორს (ბოგდანოვს): მე ქართულს ვერ ვასწავლიო. ბ. ინსპექტორმა ქართულის სწავლება დაავალა აქაურ ღვდელს, სამღრთო რჯულის მასწავლებელს, მარა ამან უარი განაცხადა: გაკვეთილი მაქვს და სხვა საგნისთვის თავისუფალი დრო აღარ მრჩებაო.

—

საფრანგეთში უკვე შედგა რადიკალთა სამინისტრო ბრისონის მეთაურობით. თუმცა ერთი მისი წევრი ცნობილი ლეონ ბურჟუაც არის, მარა კაბინეტის პროგრამა დიდათ განსხვავდება წინანდელ რადიკალთა სამინისტროს (ბურჟუას მეთაურობით) პროგრამისაგან. აქ არ არის პირველ ყოვლისა პროგრესიული გადასახადი შემოსავლის — დაკვალათ, არ არის დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვა და სხ. ეს არის რადიკალთა კაბინეტი ზომიერი პროგრამით. ამიტომ მოსალოდნელია მემარცხენი — რადიკალ-სოციალისტები და სოციალისტები მხარს არ დაუჭერენ კაბინეტს.

—

უკანასკნელი ტელეგრამმა გვატყობინებს, რომ გერმანიაში გათავებულა დეპუტატთა არჩევანი, საიდანაც გამარჯვებული გამოსულან სოციალ-დემოკრატები. მათ შეუძენიათ რვა ახალი ადგილი.

—

ჩვენ მივიღეთ ერთი ახალი წიგნაკი: „თ. ილია ჭავჭავაძე“, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი „მეგახლავარისა“. წიგნი დაწერილა თ. ჭავჭავაძის იუბილეის გამო, რომელიც, როგორც ვიცით, არ შედგა. წიგნი შეიცავს 48 გვ. და ღირს ერთ აბაზათ.

## დასასრულის დასაწყისი.

გასული წლის ოც აგვისტოს ბ. ს. ყიფიანი წ.-კითხ. გამ. საზ. გამგეობას ასე სწერდა: „სრული იმედი მაქვს, რომ გამგეობა ისეთი თვალით შეხედავს მომჩივან მასწავლებელთა საქციელს და ისეთ ფასს დასდებს მათ საჩივარს, როგორი თვალითაც უცქერის ყოველი მთავრობა შეთქმულთა ყოფა-ქცევას და როგორ მსჯავრსაც სდებს ყოველ ამ გვარ ურჩობას გონიერი მთავრობა.“ გამგეობამ დიდ ყოყმანს შემდეგ ყურად იღო ეს შენება და 15 ამთვის სხდომაზე შემდეგი ბოგდანისეური განაჩენი დაადგინა: „დაინიშნოს მასწავლებლად სენაკის სკოლაში ჯავჯავის სკოლის უფროსი მასწავლებელი ლ. ბოცვაძე, ბათომის სკოლის უნცროსი მასწავლებელი ვლ. წულუკიძე და ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის აღმზრდელი დიმიტრი ლორთქიფანიძე. ლორთქიფანიძის მაგიერ დანიშნულ იქნას სენაკის სკოლის მასწავლებელი იასონ ნიკოლაიშვილი, თუ ლორთქიფანიძე თანახმა იქნება გადაყვანაზე; წულუკიძის მაგიერ ბათომის სკოლაში გადაყვანილ იქმნას სენაკის სკოლის მასწავლებელი ივლიანე გოგოლაშვილი. ამავე სკოლის მასწავლებელი ლავრენტი აღლაძე დაინიშნოს სოფ. თონეთის სკოლის მასწავლებლად და მოემატოს აწ-ყოფილ ჯამაგირს თონეთის მასწავლებლისას თვეში ერთი თუმანი. ინსპექტორი სამსონ ყიფიანი დარჩეს თავის ადგილს და მიეწეროს, რომ გამგეობა საყვედურს უცხადებს, რადგანაც გამწვავებამდე მიიყვანა საქმე და თავის დროზე არავითარი ღონის ძიება არ იხმარა საქმე ამ გამწვავებამდის არ მისულიყო და ამასთანავე სასტიკათ დაევალოს წიგნები და დავთრები რიგიანათ აწარმოოს და ყოველი მოთხოვნილება ინსტრუქციისა ჯეროვნათ და სასტიკათ შეასრულოს.“ აი ცხრა წევრის გადაწყვეტილება. (სამი: ეკ. გაბაშვილისა, ივანე ზურაბიშვილი და კიტა აბაშიძე არ დასწრებიან) ამით გამგეობამ თავის თავს დაუდგინა განაჩენი. ამით მან თავის თავს წესი აუგო. მან გაამართლა ყიფიანი იმაში, რაშიც ის გაამტყუნეს მის მიერ დანიშნულმა რევიზორებმა. გამგეობამ უარჰყო თავისი რევიზიის მოხსენება, უარჰყო რევიზორები და თვით რევიზორებმაც უარჰყვეს თავისი თავი, გადალახეს თავისივე სიტყვა. ერთი სიტყვით ბ. ყიფიანს დაემონა ყოველივე და ეს მით უფრო გასაშტერებელია, რომ თვით ყიფიანს რევიზიის არც ერთი ბრალდება უარი არ უყვია, არც ერთი საბუთი არ დაურღვევია (იხ. მისი პასუხი). ბ. ყიფიანი ბრალდებულთა სკამზე დაჯდა, გამგეობა მისკენ გადავიდა და მათ თვითონ დაჯდა ბრალდებულთა სკამზე. ამიერიდან ყიფიანის უწესრიგობა ეს გამგეობის უწეს-რიგობაა, გამგეობის უწესრიგობა ყიფიანის უწეს რიგობაა. ყიფიანი — ეს გამგეობაა, გამგეობა — ეს ყიფიანია. გამგეობა გაყიფიანდა და ყიფიანი გაგამგეობდა. ერთი სიტყვით ყიფიანი=გამგეობას, გამგეობა=ყიფიანს. ესენი გაერთსისხლ-ხორცდნენ, იმათ ერთმა-მეორეს თავისი სული შთაბერეს. ყიფიანმა გამგეობაში მოიპოვა ერთგული მომხრე და დამცველი. გამგეობამ ყიფიანში აღბეჭდა თავისი ზნეობრივი თვისებები. ყიფიანი გამგეობის სარკეა და გამგეობა ყიფიანის. ჩაიხედეთ პირველში და დაინახავთ გამგეობას, ჩაიხედეთ

მეორეში და დაინახავთ ყიფიანს. უკანასკნელი თავისი საქმიანობით მარდათ გაექანა თავ ნაღმართისაკენ, მაშასადამე გამგეობა თავისი განაჩენით მარდათ გაექანა იმავე გზისაკენ. ორივე მოკავშირე ხელი-ხელ გაყრილი ერთათ მიემგზავრებიან. ამის პირველი საჯარო გამოცხადება — ეს გამგეობის განჩინებაა. გამგეობამ თავის დასასრული თვითონვე დაიწყო. კიდევ ერთი ასეთი აქტი და ეს დასასრული აშკარა იქნება. და ეს იქნება იმავე დროს დასაწყისი საზოგადო პირუთვნელობის, განმტკიცება საზოგადო ზნეობის და გამარჯვება ჭეშმარიტების. მაშ იმედი, და კიდევ იმედი!

ნ. ქ.

## „კვალის" კორესპონდენციები.

ქუთაისი. დადგა 14 ივნისი — ეს გულის ფანცქალით მოსალოდნელი დღე ქუთათურებისათვის. ათის ნახევარზე გაიხსნა ქალაქის თეატრში კრება ქალაქის ამომრჩევლებთა ლ. ლოლუას თავმჯდომარეობით. თავმჯდმარემ კრების გახსნისთანავე გამოაცხადა, რომ ვინც სასჯელში ყოფილა ან არის და ვისაც რაიმე უფლება ახდილი აქვს, მათ ამომრჩევლებში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ სამოქალაქო წესდებულების 169 და 177 მუხ. ძალით; ამისათვის ეთხოვე ასეთებს დატოვონ კრების ზალა. წინააღმდეგ შემთხვევაში სენატის კანონის ძალით ისინი დასჯილნი იქნებიანო. ასეთ განცხადებაზე ხმა არავინ ამოიღო. მერე თავმჯდომარე გაკადნიერდა და მოუწოდა ქუთაისში პოლიცმეისტრათ ნამყოფ. თ. ჭავჭავაძეს, (რომელიც მაშინ კარში გამოსულიყო, ალბათ ასეთ განკარგულებას ელოდა). კაი ხანს ლოდინს შემდეგ მოიყვანეს თ. ჭავჭავაძე და მოისმინა რა თავმჯდომარის მკაცრი განკარგულება და აღიარა რა ძველი ცოდვები ნებსითნი თუ უნებლიეთნი, დაიწყო თავის მართლება იმით, რომ მე ისინი შეპატიეს და ახლა სასჯელის მაგიერ სახელმწიფო სამსახურშიაც ვარო, მარა თავმჯდომარემ ეს არ შეიწყნარა, მიუხედავათ მისი „პროტესტისა", და მიაბძანა იქითკენ, საიდანაც მოსულიყო.

შემდეგ ს. ჯაფარიძე არდგენს ერთ სხვაგან მყოფ ამომრჩევლის ტელეგრამით მონდობილ ვექილობას, მარა მის მიღებაზე უარს ეუბნება თავმჯდომარე, რადგან ახლა დრო არ არისო. ჯაფარიძე თხოულობს ამის ოქმში შეტანას.

თავმჯდომარე: ხმოსნობაზე კენჭს იყრის, როგორც უკვე გამოვაქვეყნეთ, 182 კაცი, რომლიდანაც ჯერ 2ა მეტს არ განუცხადებია უარი და თუ კიდევ ვინმე უარს ამბობს ან ახალი მსურველები არიან, განაცხადეთ. კრებაზე 13-მა კიდევ განაცხადა უარი და 5 ახალი ჩაეწერა. ასე რომ დარჩა ყუთები სულ 146. შემდეგ თავმჯდომარე ირჩევს 14 ასისტენტს და 3 მათ კანდიდატს. ასისტენტებისდანიშვნაზე საყვედური გაისმის ოპოზიციაში, განსაკუთრებით ზოგიერთ მათგანზე. ასისტენტებმა დაიჭირეს თავისი ალაგები და $11^{1}/_{2}$ საათზე დაიწყო კენჭის ყრა. კენჭის ყრის დროს ი. სანებლიძემ განაცხადა, რომ „კენჭის ჩასაყრელი ნახვრეტი ყუთებში პატარა არისო, რის გამოც კენჭი შეიძლება ზევით გაჩერდეს და თუ ვინმე ასეთ კენჭს თავზე წაადგა შეუძლია ბოროტათ ისარგებლოს. თეთრში თუ იქნა შავში, გადიტანოს და შავში თუ იქნა — თეთრშიო. ამას მე და თქვენ (მიმართავს თავმჯდომარეს და ასისტენტს ს. თოფურიას) არ ვიქმთ, მარა ყველას ზნეობაზე თავდებობა განა შეგვიძლია? ამისათვის საჭიროა ამის თავიდან აცდენაო. ამასვე ნიშნავენ რამდენიმე სხვა პირებიც ოპოზიციიდან. ამაზე თავმჯდომარე უპასუხებს, რომ ამნაირ ყუთებს ხმარობენ თფილისის საბჭოში და თუ იქ გამოდგა, რატომ აქ არ გამოდგებაო. ჩვენ იქიდან გამოვიწერეთ ეს ყუთები, აქაც ვშინჯეთ და კარგი აღმოჩნდაო. ეს ლაპარაკი იყო და მართლაც ორმა მეკენჭემ ნახა ორ ყუთში კენჭები: ერთმა ოთხი და ერთმაც ორი, რის ოქმში შეტანა მოითხოვა ოპოზიციამ.

მ. დარახველიძე აცხადებს ასისტენტი მაჭავარიანი ნუ ურევს ყუთებში ხელსო და ითხოვს ოქმში შეტანას რაც აქ ხდებაო. შემდეგ ოპოზიციიდან თხოვენ თავმჯდომარეს თავისი ალაგი დაიჭიროს, ყუთებთან ნუ დადისო. ამაზე თავმჯდომარე უპასუხებს, რომ მე ამის ნება მაქვს კანონით; მე წეს-რიგის დამცველი ვარ და ამისათვის უფლება მაქვს ყველგან ვიარო, ყველას ვუყუროო; ამას თქვენ ვერ დამიშლითო. კ. ბაქრაძე: გთხოვთ ბ. თავმჯდომარე, თქვენი ადგილი დაიჭიროთ. (ამაზე თავმჯდომარე იქნევს ხელს.) Нечего махать рукою, всѣ просимъ занять мѣсто и больше ничего. ვ. ბარათაშვილი — вовсе не всѣ, а нѣкоторые.

კ. ბაქრაძე: მოსამსახურები შორს, ისინიც ხომ ასისტენტები არ არიან! ივსება ყ. დათეშიძის ყუთი და გამოაქვთ წინა სტოლზე. შემდეგ ნ. ჯანელიძეც თხოულობს მისი სავსე ყუთის იმის გვერდით დადგმას. ამასვე თხოულობენ სხვებიც, აღელვებით, ჯანელიძის ყუთის შესახებ. თავმჯდომარე ამშვიდებს მათ იმით, რომ ეუბნება: ეს სავსე ყუთი ბ. ფიფინოვს აქვს მინდობილი. ოპოზიციიდან აცხადებენ ამ ყუთს „იარლაკი" აღარ აქვსო. ასისტენტი ს. თოფურია მიდის შესამოწმებლათ და აცხადებს, რომ აქვსო.

ს. ჯაფარიძე თავმჯდომარეს მიმართავს: კრება გთხოვსთ თქვენ თქვენი ალაგი დაიჭიროთ და კენჭებს

ნუ აძლევთ ამომრჩეველებს. ამისათვის ასისტენტებია დანიშნული. ამაზე თავმჯდომარე უპასუხებს: თქვენ იქნებ ჩემი აქედან წასვლაც კი გინდოდესთ, მარა მე განა წავალ?

დ. ლორთქიფანიძე მიმართავს თავმჯდომარეს: თქვენი სიარული ასისტენტებში ნიშნავს იმათ უნდობლობას. საზოგადოება გთხოვსთ თქვენი ალაგი დაიჭიროთ. დ. ნაზაროვი შენიშნავს თავმჯდომარეს, რომ ის კენჭებს აძლევს ამომრჩევლებს. თავმჯდომარე უპასუხებს: კაცი არ არის ახლა აქ და მისთვის ვაძლევო. დ. ნაზაროვი: განა ჩვენ კაცები არა ვართ? საზოგადოებაში კაცებს გვეძახიან და ეს როგორ შეიძლება. თავმჯდ. მე კანონითაც ნება მაქვს კენჭის მიცემისა. კ. ბაქრაძე: დაწერილ კანონს გარდა არის კიდევ დაუწერელი კანონიც. პ. მეფისოვი: что за давленiе на собранiе —მიმართავს თავმჯდომარეს. ამგვარი შენიშვნებით გათავდა კენჭების ყრა საღამოს 9 საათზე და შემდეგ ცოტა ხნის დასვენებისა თავმჯდომარე აცხადებს, რომ მე დავითვლი პირველ ხუთ ყუთს და შემდეგ ასისენტები განაგრძობენო. დაითვალა ხუთი ყუთი, რომლების კანდიდატების გათეთრებამ ოპოზიციაში უიმედობა დაბადა და შემდეგ მოთხოვა კრებას დაენიშნა ასისტენტებისათვის ორ-ორი კაცი კენჭების თვლის დროს მეთვალყურეთ.

ასეთ პირებათ ითხოვეს აერჩიათ ვისაც კენჭი არ უყრია. ოპოზიცია:—ასისენტებს განა კენჭი არ უყრიათ? თავმ: მერე რა? прошу не входить въ пререканiя. კ. ბაქრაძე:—გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ და რას გვთხოვ, რაიაზე მოგვმართავთ თუ კი ჩვენ მოთხოვნილებებს არ ასრულებთ. თავმჯ. г. Бакрадзе, вы выходите изъ предѣловъ приличiя и будете отвѣчать за это предъ закономъ. Я васъ прашу относиться ко мнѣ съ уваженiемъ. კ. ბაქრაძე: – а вы относитесь къ намъ съ уваженiемъ, когда просимъ не ходить между ящиками, а вы все продолжаете это дѣлать. თავმჯდომარე: Я исполняю свои обязанности, долженъ слѣдить за ассистентами. კ. ბაქრაძე:—За этими мы уже слѣдимъ.

ეს პროცედურაც დასრულდა ღამის 3 საათზე და როცა ღამის 4 საათზე ამომრჩეველთა სია გამოაცხადეს მაშინ კი გმრიელათ ამოიხვნეშა და დამშვიდდა ოპოზიცია, რომელიც მანამდის აღელვებული კასაციის მიზეზებს ეძებდა. გათეთრებულ იქმნა ოპოზიციის უმრავლესობა. ასე და ამ ნაირათ დღევანდელ ბრძოლაში გაიმარჯვა ოპოზიციამ.

ისი.

—

დ. საჩხერე. აქაურ ვაჭრებს არ გააჩნიათ არც კვირა და არც სხვა რომელიმე დღესასწაული: უქმე დღეებშიაც ისე ვაჭრობენ, როგორც უბრალო დღეს; ამით უმეტესათ იჩაგრებიან ნოქრები და დუქნებში მცირე წლოვანი მოსამსახურე ბავშვები.

ფასები პირველ მოთხოვნილების საგნებზე, ჩვენ ბაზარში, მეტის მეტად აწეულია. აი მაგალითად იყიდება: ფუთი, ღვინო 4—5 მან. სიმინდი 1 მ. 20 კ.— 1 მ. 50 კ. კოდი, ე. ი. ორი ფუთი, პური მეორე ხარისხისა გამომცხვარი 15 კ. ოყა (3 გირ.)—მესამე ხარისხისა -შავი, 12 კაპ. ოყა; ხორცი 20—30 კაპ. ოყა; შაქარი 17—19 კაპ. გირვანქა და სხვ.

ამნაირმა აწეულმა ფასებმა შეავიწროვა სოფლებში მცხოვრები საზოგადოება. მეტათ შემაწუხებელია ის რომ ჩვენმა ყასბებმა შეადგინეს ერთობა-ამხანაგობა და დააწესეს ოთხნაირი ტაქსა ხორცზე; ესეც იმნაირი იყიდება, რომ კაცს არ ეჭმება. მკურნალს, პოლიციის ბოქაულს და ფერშლებს ისინი აძლევენ ოყა ხორცს 20 კაპ., დეპუტატებს 21 კაპ., სხვა ადგილობრივ ჩინოვნიკებს 25 კაპ. და დანარჩენ საჩხერის და მის გარშემო სოფლებში მცხოვრებ საზოგადოებას 30 კაპ.

დ. საჩხერის ხიდი, რომელიც არის გადებული მდინარე ყვირილაზე, ძრიელ საფათარაკოთ არის გაკეთებული. მიმოსვლა ზედ ყოველ წყალდიდობის დროს შეუძლებელი არის, რადგანაც წყალი იმოდენათ მოიმატებს ხოლმე, რომ გადმოვა კალაპოტიდან ჲ მოივლის მთელ არე-მარეს. მიზეზი ამ წყლის კალაპოტიდან გადასვლისა არის შესაფერი დამბების უქონლობა თავ-თავის ალაგას.

„კვალის" მე 19 №-ში ჩემ მიერ აწერილი იყო უწესოებები, რაიცა საჩხერის სახალხო სამკითხველოში ხდება. მაგრამ ამ კორესპონდენციამ ჯერჯერობით არ იქონია სასურველი გავლენა სამკითხველოს ზედამხედველებზე ჲ ბიბლიოთეკის გამგეზე. 20 მაისს საღამოს 10 საათზე ბიბლიოთეკის გამგემ. ნიჟარაძემ დაუწყო ხმა მაღლა ლაპარაკი ჲ ბრძოლა ერთ მკითხველთაგანს. აღელვებულმა მკითხველმა, ცოტა უკლდა, კინაღამ გალახა ბიბლიოთეკის გამგე სამკითხველოში.

ნესტორ ქვარიანი.

## კვირიდან კვირამდე.

ბურჟუების „საქმე"—ერთი „უქაზი" —უსრიკეთელის დვაწლი—ფალავანთა ოინები.—უვალაფერი სანივრით.

მადლობა ღმერთს! ჩვენც გვყოლია საქმის კაცნი. და ვინ იქნებიან ეს მოსაქმე თუ არა ჩვენი ბურჟუები?

მათი საჯაყი ამბავი კაი ხანია მოგეხსენებათ. 30 მაისს საჯაროთ დაგვიფიცეს სენაკის სკოლის შესახებ საბოლოო აზრი არა გვაქვსო. ფიცი კი გვწამდა, მარა ბოლო მაინც გვაკვირვებდა, და ეს ბოლოც წ. კ. საზ. გამგეობის ზოგ წევრთა აბლაკატური „რეჩები" იყო. ცხადია უტაქტიკო ბურჯებმა ველარ დაჰფარეს თავისი გულის ზრახვანი, ხოლო გამოცდილ მებაირალტრემ სათქმელი შეინახა და კრება დააჯერა: ჩვენ ერთი ახალი ქითაბი მივიღეთ და იქიდან ამოვიკითხამთ ყოველსავე სიბრძნესო. გამგეობა გათეთრდა და ორჭოფობაც გაათავა, დრო არის აწ საქმეს შევუდგეთო და კიდევაც ჩაუჯდენ სახელოვან ქითაბის შესწავლას.

***

და მერე იცით საიდან მოდის ეს ქითაბი? ეს თურმე ქუთაისის ბურჯების ნაწარმოებია და მეტი არაფერი. ეს ოცი წელიწადია მთელი საქართველო ამათგან ერთ თხზულებას მოელოდა და ბოლოს დიდ ლოდინს შემდეგ ნატვრა აუსრულდა, პირველი ტომი უკვე გამოვიდა და იმედია მეორე და მესამეც ჩქარა იქნება. და რადგანაც ავტორნი იურისტები არიან, ამიტომ მათ შრომასაც „уложенія о наказаніяхъ" ეწოდება და შეიცავს მხოლოთ ერთ შესანიშნავ მუხლს: § ვინც საზოგადო ფული გაფლანგოს — დაჯილდოვდეს, ხოლო ვინც ეს გაამჟღავნოს — სახრჩობელაზე გაიგზავნოსო. და აი ეს უქაზი მოუვიდა ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტისაგან წ. კ. საზ. გამგეობას. ეს რასაკვირველია, არ ახალია ძველია, რა არის ადვოკატთა ხელობა თუ არა თეთრის შავათ გამოჩვენება და შავის თეთრათ. ამაში არიან განთქმულნი ქუთაისის „მოღვაწეები" და ამითვე დაიწყეს პირველი დებიუტი ამ ახლათ მოვლენილ ავტორებმაც.

***

მარა ასე გაშინჯეთ აქაც... ღმერთო შეგცოდე' რავა ვთქვა, მარა ცოდვა გამჟღავნებული ჯობსო — ნათქვამია — ჰო, იმას მოგახსენებდით, აქაც ამ ერთი მუხლის შედგენაც გაჭირვებიათ და ამტყდარა ერთი ფაცა-ფუცი, ვინ ხარ გენიოსი, ვინ გამოგვიყვანს გასაჭირვებიდანო. და ჩვენდა საბედნიეროთ ქუთაისი დაუხსნია სირცხვილისაგან ერთ არა ქუთაისელს. სოფ. უხრიაკეთის პრიჩეტნიკის შვილს, დღეს ბურჯათ გადაქცეულს, ის თავ-სახეთქი მუხლი შეუთხზავს და შიკრიკით „კომიტეტში" უფრენია. ამან კიდევ ამ სხვის „შრომას" თავისი სახელი დააწერა, თავისი ბეჭედი დაასვა და თფილისის ბურჯებს გამოუგზავნა: აი, — თქვენი „ზაკონი"-ო. ითქვა — ასრულდა. 15 ივნის კანონი ძალაში შევიდა: სენაკის სკოლის მასწავლებლები სენაკიდან განდევნეს, ხოლო მათ ინსპექტორს ქება-დიდება შეასხეს: შენ ჩვენი რჯულის ხარ, მანდ გამოგვადგებიო. და ასე ბურჯნი ქართლოსიანთა შეერთდენ უხრიაკეთელის წინა-მძღოლობით და განსაჯეს უხრიაკეთელისვე ამბები! ასეთია ჩვენი მოღვაწეების მოღვაწეობა!

***

მარა, ღვთის წინაშე, არც სხვების ბურჯებია საქებ მდგომარეობაში. თფილისის საბჭო ერთ საჭიდაო მოედნათ არის გადაქცეული, სადაც ბ. თავი გლდანელივით გადაკაპიწებულა და თითქმის ყველა ხმოსნებს საჭიდაოთ იწვევს. ორი უკანასკნელი სხდომა — ორი ასეთი ჭიდაობა იყო და მოგეცათ სიცოცხლე ჩვენ გვაცინეს. ერთი ვილაც ტიგრანიანცი ყოფილა, რა ოინები, რა სარმა იმას ცოდნია! აი ბიჭიც ისეთი უნდა, ი ჩვენი გრდანელი ისეთ ნაირათ წამოიკიდა, რომ გეგონებოდა ქორი წიწილას დააფრინდაო, ის იყო უნდა დაეშვა იატაკზე, რომ მივაფრინდით და ხელიდან წავართვით. ხელ-ახლა შეიბრენ, ერთხელ, ორხელ, და როცა გლდანელმა ვერაფერი გააწყო დაემუქრა: მე შენ „სულში" გიჩივლებო! აქაც „ზაკონი" ყოფილა საჭირო. მომავალ ორშაბათს იმავე დარბაზში კიდევ არის დანიშნული ჭიდაობა და ყველას ვურჩევ დასწრებას, თვარა საცაა სეზონიც გათავდება და დავრჩებით ხელ-ცარიელი.

***

ერთი ასეთი ჭიდაობა გასულ კვირას ქუთაისშიაც გაიმართა. მართლა აქ ერთმანერთს ორი „პარტია" შეეტაკა, მარა ამ პარტიებს უკან ორი პირი დგას, რომელნიც ერთმანერთს კაი ხანია ებრძვიან უპირატესობისათვის. აი ამ ფალავანთა შეჯიბრებას მოჰყვა პარტიების შედგენა და მათი შეჯახება. თუ კი თფილისის თავი გლდანელს ბაძავს, ქუთაისის თავი სწორეთ ზედ გამოჭრილი ესებუაა. ის ნამდვილი დარდი-მანდი კაცია. ისე დაესია მას „ოპოზიცია", რომ გეგონებოდა ბრძოლის ველს დატოვებსო. მარა, შენც არ მომიკვდე: ძალა ბრძოლაში იშინჯება, ბრძოლა კი იერიშით ბოლოვდებაო. და ამ იერიშმა სწორეთ ქუთაისი გააკვირვა, გააკვირვა ორივე პარტია თავისი ბელადებით. „ოპოზიცია" ისე დარწმუნებული იყო თავის დამარცხებაში, რომ წინ და წინ ეძებდა კენჭის ყრის დასარღვევ მიზეზებს და კიდევაც ბევრი გამონახა. თურმე ნუ იტყვი ის ამით მოწინაალმდეგეთ ულესავდა იარაღს. და მართლაც, გათავდა კენჭის ყრა და გამოჩნდა, რომ ოპოზიციას გაუმარჯვია! ახლა კი მათ თითზე იკბინეს, საბუთების მიფუჩეჩ-მოფუჩეჩება დაიწყეს, მარა ამ დროს დამარცხებულთა ხმა გაისმა: მოიცადეთ, ის თქვენი ნამუშევარი ჩვენ გამოგვადგებაო. ქათამმა

თხარა თხარა და თავის დასაკლავი დანა გამოთხარაო—აი ასე მოუვიდა ამ საკვირველ „ოპოზიციას." მაინც გასაკვირველია იმერლების საქმე, მათ ჰგონიათ ყველაფერი საჩივრით გაკეთდება, თუ ვინმეს რამეზე გული გაუტყდა, ძალ-ღონე აღარ შეწევდა მაშინვე სასამართლოს კარებისაკენ მირბის და იქ ეძებს ბედნიერებას. როგორც ჩანს ამ საერთო თვისებით „ინტელიგენტური ოპოზიციაც" ყოფილა შეპყრობილი..

## მდინარე ტეხურს.



ჩემ სამშობლოში მიმომდინარევ,
ნელ მოჩურჩულევ, ჩემო ტეხურო!
შენით ვზრდი ნეტარს მე ჩემსა
წყურვილს;
შენვე მსურს მარად რომ გემსახურო.

შენ წმიდასა წყალს სიხარბითა ვსვამ,
შენ მორევშიაც გულს ვიხალისებ,
თუმცა ხანდისხან მწქეფრი ქუხილით
და ადელვებით მე განმარისხებ.

გარნა ტეხურო, მე შენსა დენას
გრძნობით ვადევნებ ცრემლიან თვალებს,
და კვალად შენვე გესაუბრები
თითქო ვიხდიდე ამით ჩემ ვალებს.

ჩემის ვაების და მწუხარების
მხოლოდ-და შენ ხარ გამომცნობელი,
და შენვე იწყი ის სხვ კრულება,
რადგან თვით მივი თანამგრძნობელი.

ამისთვის არის ჩემო ტეხურო,
რომელ უურს გაპყრობ შენ სპეტაკს დენას,
რაგი შენც ჩემ აზრს მეჩურჩულები,
თან იზიარებ ჭირსა და ლხენას.

ვიცი შენც ჩემებრ შენატრი იმ დღეს,
რომ აღვისრულდეს სულის წყურვილი,
და გსურს მორეცხო შენ კიდეებზე
მიმოფენილი ნისლი, ბურვილი.

დეე განვაგრძოთ ეს წმინდა აზრი,
კვლავ მესაუბრე, მიყავ იმედი,
მოვა დრო ჩვენცა გაგვიბრწყინდება
ის საგრძნობელი საერთო ბედი.

თ. როსტომ გუძა ჩიქოვანი.

## ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საყურადღებოდ.

ერთი საუკეთესო დაწესებულება ჩვენ საზოგადოებაში არის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". ეს „საზოგადოება" არსებობს 19 წელიწადი და, შეძლებისადაგვარათ, ცდილობს ჩვენ ჩამორჩენილ ერში გაავრცელოს უსაჭიროესი ცოდნა. ამ „საზოგადოებას" აქვს რამდენიმე ერთ კლასიანი სკოლა. ორი სათავად-აზნაურო სკოლა--თბილისში და ქუთაისში პროგიმნაზიის პროგრამმით, და სამი ორ კლასიანი—კავკავში, სენაკში და ბათომში. ამ სამს სკოლაში ერთი და იგივე პროგრამმაა შემუშავებული „საზოგადოების" გამგეობისაგან. ამ სკოლებში სწავლა იწყება ქართულ ნიადაგზე და იმაზე, როგორც საძირკველზე, შენდება დანარჩენი სწავლა, როგორც რუსულისა ისე არითმეტიკისა და სხვა საგნებისა. ეს სკოლები შედგება ოთხი განყოფილებისაგან; ამ ოთხს განყოფილებას ბათომისა და კავკავის სკოლებში ჰყავთ ორ-ორი მასწავლებელი, სხვა-და-სხვა საგნებისთვის, ერთიც საღმრთო რჯულისა.

ბათომში და კავკავში სკოლას ინახავს ადგილობრივი ქართველობა „საზოგადოების" დახმარებით. მხოლოთ სენაკის სკოლას აძლევს ხარჯს სათავად-აზნაურო ბანკი, ყოველ წლიურათ რვა ათას მანეთამდე. სენაკის სასწავლებელში არის სულ ექვსი მოსამსახურე: ერთი ინსპექტორი, ოთხი მასწავლებელი, და ერთიც მეთვალყურე. ეს ექვსი მასწავლებელი ასრულებს იმას, რასაც ბათომში, და კავკავში ორი მასწავლებელი ე. ი. ასრულებენ იმავე პროგრამმას, რასაც ამ ორი უკანასკნელი სკოლის მასწავლებლები. რიცხვი შეგირდებისა, როგორც „საზოგადოების" ანგარიშიდან ჩანს, ერთი მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, ას ყმაწვილს ბევრათ აღარ აცილდება, ამდენივე შეგირდები, თუ მეტი არა, ჰყავსთ ბათომის და კავკავის სკოლებსაც, ბათომის სკოლაზე ამ $189^7/_8$ სამოსწავლო წელს დ. ხარჯულა 1991 მ. 15 კ. კავკავის სკოლაზე 1690 მ. 11 კ. ისე რომ ამ ორ სკოლაზე ბათომის და კავკავის ქართველობა, „საზოგადოების დახმარებით, წლიურათ ხარჯავს 3681 მ. 26 კ. ამას რომ კიდევ მივუმატოთ რამე მოულოდნელი ხარჯისათვის 318 მ. 74 კ. მაშინ თითო სკოლას მოუწევს ორ-ორი ათასი მანეთი. აქედან თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ სოფელში, თუ სახლი საქირაო არ იქნება, ორი ათასი მანეთი სკოლას ადვილათ შეინახავს.

ახლა ვიკითხოთ: თუ ბათომის და კავკავის სკო-



სკანდინავის კიდეები.

ლებზე ორ-ორ ათასი მანეთიც არ იხარჯება და პროგრამმა ყოველთვის სასურველათ არის შესრულებული, რატომ იგივე არ შეიძლება მოხდეს სენაკის სკოლაში? რა საჭიროა იქ ექვსი მასწავლებელი მაშინ, როდესაც ბათომში და კავკავში ორ-ორი მასწავლებელიც კი ასრულებენ იმავე პროგრამმას? ნუ თუ არ შეიძლება, რომ სენაკის სკოლაც დაკმაყოფილდეს ორი ათასი მანეთით და საქმეც ისე წავიდეს, როგორც დღეს მიდის? ამ ცვლილებით სკოლის პროგრამმა სრულებითაც არ შეიცვლება და სკოლა დარჩება იმავე ტიპისა, როგორიც დღეს არის; მხოლოთ ეს კი მოხდება, რომ ჩვენ სათავად-აზნაურო ბანკს ამ ცვლილებით გადარჩება ექვსი ათას მანეთამდე. ეს გადარჩენილი ფული, ურიგო არ იქნება, რომ ბანკმა გაუნაწილოს რაჭის, ლეჩხუმის და შორაპნის მაზრებს. ეს სამი მაზრა, განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმი, ძრიელ ჩამორჩენილია სწავლა განათლებაში. თუ რომელსამე კუთხეს ეჭირვება სათავად-აზნაურო სკოლა, პირველათ სახეში ამ მაზრების თავად-აზნაურობა უნდა ვიყოლიოთ. რამდენია იმისთანა ღარიბი აზნაური და თავადი რომ შვილები ქუთაისშიაც ვერ ჩამოუყვანია ბანკის კლასში შესაყვანათ. ამასთანავე ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქუთაისის სათავად აზნაურო სკოლა ბევრ ყმაწვილს ეუბნება უარს უადგილობის გამო. აქედან ცხადია, რა საჭიროებას წარმოადგენს სათავად-აზნაურო სკოლები ამ ზემოხსენებულ მაზრებში. თითო სკოლას, როგორც ბათუმისა და კავკავის სკოლების მაგალითი გვიჩვენებს, ორი ათას მანეთზე მეტი არ დაჭირდება. სკოლებისათვის საჭირო შენობის აგებას კი ადგილობრივი თავად-აზნაურობა სიამოვნებით იკისრებს.

მაშინ ბანკს ერთი სკოლის მაგივრათ ექნება ოთხი ორ-ორ კლასიანი სკოლა; ამ ოთხ სკოლაში სულ ცოტა რომ ვთქვათ 4000-მდე შეგირდი მაინც იქნება; ახლა კი ბანკი ხარჯავს ერთს სკოლაზე რვა ათას მანეთამდე და ყმაწვილების რიცხვი ასს არ აღემატება.

ამ გვარი განაწილება რვა ათასი მანეთისა ოთხ-მაზრის თავად-აზნაურთა შორის ძრიელ სამართლიანი უნდა იყოს, თან მეტათ ნაყოფიერი და სასარგებლო.

ის რვა ათასი მანეთი, რომელიც სენაკის სკოლაზე იხარჯება, არ შეადგენს არც ბანკის გამგის საკუთრებას, არც სენაკის თავად-აზნაურებისას, არამედ ის არის საერთო ფული, რომელშიაც ყველა თავად-აზნაური ქუთაისის გუბერნიისა თანასწორათ მონაწილენი არიან.

თ. პლ. წულუკიძე.

# მგზავრის შენიშვნები

(ქ. მიუნხენი. *)

საინტერესო ყველა ზემოთ ნალაპარაკევი მიუნხენელი ქალის პროზაულ ცხოვრებას შეეხებოდა. ეს იყო ზრუნვა, ცხოვრებისათვის მუდმივი ზრუნვა. ეს მატერიალური მხარე მისი არსებობისა, ზრუნვა, ასე ვთქვათ, მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მაგრამ მას სულიერი მოთხოვნილებაცა აქვს და ამ მოთხოვნილებათა შორის უმთავრესი, ძირითადი—სიყვარულია.

მიუნხენელი ქალი უსიყვარულოთ წარმოუდგენელია. იგი უეჭველათ მუდამ შეყვარებულია, მუდამ მას ვინმე და ვინმეს იგი უყვარს. მისი გული, ეს მეტათ ფართე და მეტათ უცნაური გული, მუდამ დაჭერილია, მუდამ სავსეა, მას ცალიერს იშვიათათ ნახავთ. ეს ხდება von Zeit zur Zeit, როგორც თითონ ამბობს, დრო გამოშვებით. ეს იშვიათი წამები მიუნხენელი ქალისთვის მეტათ სატანჯველი წამებია, და საზოგადოთ სიტყვას „უბედურებას" რომ ხმარობდეს ის—ახლა უბედური ვარო, აი ამ წამებზე იტყოდა. მაგრამ ერთი რომ ის ამ სიტყვას არ ხმარობს და მეორე—მისი გული დიდი ხნით არ რჩება ცალიერი. იმას ვინმე უეჭველათ იჭერს. ვინ არის ეს ვინმე? ეს არის მისი Schatz-ი, სატრფო, საუნჯე.

ასეთია აქაური ქალის ბუნება. კაცი იფიქრებს, რომ ის მისი Sclatz-ია თუ რაღაცა მართლა ფარსაგი რამე უნდა იყოს, რომ ქალი უიმისოთ ვერ ძლებსო. მაგრამ შემცდარი ფიქრი იქნება. მისი სატრფო არაფერ ფარსაგს არ წარმოადგენს. ის სრულიად ჩვეულებრივი მამაკაცია. არც აქვს განსაკუთრებული რამე თვისება, რომლის შემწეობითაც ვითომ ქალის გრძნობა-გონებას ხიბლავდეს. თუ მიუნხენელ ქალს უყვარს, ყოველთვის უყვარს, ამის მიზეზი არა მამაკაცში, არამედ თვით ქალის სულიერ აგებულებაშია. მას სიყვარული წყურია და ამ წყურვილის დასაკმაყოფილებლათ მამაკაცი, საუბედუროთ, აუცილებელია...

ამ აზრს ნათლათ ჰყოფს სატრფოთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება. დამოკიდებულებაში ფულის ინტერესს ძალიან ცოტა და უმნიშვნელო ალაგი უკავია. სატრფო არაფრით ქალის მიმართ ვალდებული არაა. ქალი მისგან მატერიალურ დახმარებას ან სულ არა ან ძალიან ცოტას იღებს. ეს ისე ცოტა და ისე შემთხვევითია, რომ სიტყვაზე მოსატანი არცკია. მაგალ., როცა ქალი კვირა-უქმე დღეს თავისუფალია, ის თავის საყვა-

*) იხ. „კვალი", № 25.

რელთან მიდის. ისინი ერთათ წავლენ ბალში, ტყეში, ქალაქ გარეთ ან ყავახანაში. ამ შემთხვევებში მამაკაცი თავისი შვენიერი მეგობრისთვისაც ხარჯავს რასმეს. მაგრამ ვინც კი იცის, რა ცოტა მჭამელია მიუნხენელი ქალი, ის ადვილათ მიხვდება, თუ როგორ ცოტა უნდა იყოს ამ შემთხვევაში მამაკაცის დანახარჯი. სამიოდე ჭიქა ლუდი, ცოტა ძეხვის ნაჭერი, ერთიც პატარა რგვალი პური, რომელსაც აქ Semmel-ს ეძახიან, აი სულ აქაური ქალის საჭმელი. ყველა ეს ღირს სულ რაღაც რამდენიმე პფენინგი. ხშირათ ბ-ნი მამაკაცი არას იხდის და ქალი თავის ნახარჯს თითონვე კისრულობს და თავისი ჯიბით ისტუმრებს.

სატრფოთა შეხვედრა, rendez-vons, ჩვეულებრივ, კვირაობითაა. მთელი კვირის განმავლობაში ისინი ცხოვრებისთვის გამწარებულ ბრძოლას ეწევიან, მთელ დღეებს შრომაში და გარჯაში ატარებენ. კვირაობით კი ცხოვრების სისასტიკეს, სიძნელეს ივიწყებენ, ან ცდილობენ დაივიწყებას და გულის მონანი ხდებიან. მათი დროს გატარება ერთათ სეირნობა და მუსაიფია. თუ ყურს დაუგდებთ, გაიგებთ, რომ ამათ ფული აქაც ვერ დაუვიწყნიათ, რადგან მათ ლაპარაკში პფენინგების სახელები ხშირია... მაგრამ ეს მაინც არ უშლის ხელს მათს სიყვარულს და პფენინგებზე და ანგარიშზე მასლაათი გახურებული კოცნით სრულდება...

სიყვარულს მიუნხენში მოქალაქობრივი უფლება მიუღია, ძველი ტრადიციები დაუძლევია, გაუმარჯვნია. აქ სიყვარულის და საყვარლის სახელის ხსენება არარავის არ ეხამუშება, ამას ყველა შეჩვეულია. გაიცანით აქაური ქალი, — ნუ დაგერიდებათ, ჰკითხეთ, ჰყავს თუ არა მას სატრფო. ის ამ კითხვაზე სრულიათაც არ გაწყრება და თავს შეურაცყოფილათ არ ჩათვლის. თითქმის ყოველთვის მოგიგებსთ, — „არაო", მაგრამ ისეთი სახის გამომეტყველებით, ისეთი ღიმილით, რომ ნათლათ წაიკითხავთ: აბა ეს რაღა საკითხავიაო"!.. სახელის ხსენება კი არა, თვით სიყვარულის გამომჟღავნება ცხადათ, ყველასთვის დასანახათ ხდება... მაგრამ აქ ერთხელ კიდევ ჩემი უბის წიგნს მივმართავ.

„რიცხვი. დღეს ქალაქის საუკეთესო ქუჩები დავიარე. შვენიერი საღამო იყო. ქუჩებში აყვავებული ხეების სუნნელება იდგა ელექტრონის ფარნები გაჩირაღდნებული იყო და არემარეს საუცხოვო ფერს ჰფენდა. ამ სინათლეში ყველას სახე ბრწყინავდა და იღიმოდა. ხალხის დიდი მოძრაობაც მხოლოთ ამ ქუჩებში ყოფილა. თუ სახის გამომეტყველებას დაუჯერებთ, აქაური ხალხი ძალიან მხიარული და უდარდელი უნდა იყოს. მარა ამასთან ძალიან უსირცხვილო. ამაში ამ საღამოს დავრწმუნდი. ნეტა კულტურა და სირცხვილი ერთათ ვერ მოთავსდება? ეს ძალიან საწყენია, თუ — ვერა. ლუდვიგის ქუჩაზე — ეს ყველაზე დიდი ქუჩაა — ფილოსოფოსის სიდინჯით მივდიოდი. ხალხი ბუზსავით ირეოდა. ომნიბუსები დ ეტლები ერთმანეთს ძლივს გვერდი-გვერდს უვლიდენ. უცებ გვერდით, ტროტუარზე, ერთი მაგარი „მტლაში"! მომესმა. გავიხედე გაოცებულმა — ეს კოცნათ მომეჩვენა. მართლა კოცნა იყო. ამ აუარებელ ხალხში ერთ ლამაზ ქალს თავის სატრფოსთვის ტუჩები მიეშვირა და გამწარებული ჰკოცნიდა, მთლათ ერთიანათ გავბეცდი, შემრცხვა, თუმცა არ ვიცი რათა, — უთუოთ მათ მაგიერ. მოშორებით დავდექი, მარა ქურდულათ მაინც ვადევნებდი თვალს. ისინი ერთმანეთის ჩახვეულები იდგენ. ვაჟს ქალის კისერზე აქვს ხელები შემოხვეული, ქალს კი თავი ოდნავ მის მკლავზე გადმოუდვია, ხელი წელზე შემოუხვევია და შესცქერის თვალებში. მერე როგორ შესცქერის! ხალხი მიდი-მოდის, მარა იმათ რა ხალხის ცხელათ, — ყურადღებასაც არ აქცევენ. ხალხიც ხედავს, მაგრამ სრულიად გულ-გრილათ, ვითომ აქ არაფერიაო, — ისიც არ აქცევს ყურადღებას. ეტყობა ასეთი მოვლენა აქ ჩვეულებრივია. უსირცხვილობა ამაზე მეტი კიდევ იქნება?! განვაგრძე ისევ გზა და ამისთანა სანახავი ბარე ათ ადგილს ვნახე ქუჩებში. რა გაეწყობა! გამოვწიე შინისკენ. გზაზე თუთუნის ყიდვა მომინდა. იქვე დავინახე ერთი თუთუნის მაღაზია. შუშაზე დიდი ასოებით ეწერა: „აქ ელაპარაკობთ ფრანგულათ, ინგლისურათ, იტალიანურათ დ პოლონურათო". შევაღე კარი და... ელდა მეცა... პაპიროსებ-ს გამყიდველი ახალგაზდა ქალი მოჯდომია ვაჟს დ ისე თავ დავიწყებით ჰკოცნის, რომ მთელ მაღაზიაში კოცნის კორიანტელი დგას. ქალმა რომ დამინახა შესული, ფეხზე წამოხტა, თმა კაისწორა და ღიმილით მკითხა, რას ისურვებთო. „რას ვისურვებ და შენ სიკვდილს მეთქი", გავიფიქრე გულში და თუთუნი მოვთხოვე. ახლა ვნანობ, რათ დავწყევლე, რას ვერჩოდი! ეს თუმცა მაღაზიაში იყო, მარა დამალვა ამასაც არ ჰქვია. მაღაზიას მთელი წინა კედელი შუშისა აქვს, კარებიც შუშის, — გამვლელ-გამომვლელს ადვილათ შეუძლია დანახვა. მაშასადამე აქაც უსირცხვილობაა.

ქალს თუ მორცხვობა აღარ აქვს, ის რაღა ქალია! ამ შენიშვნაზე რამდენსამე თვეს შემდეგ შემდეგი სიტყვებია მიწერილი: „ჰაი, რა ხამი იყავ, როცა ამ სიტყვებს წერდი! ახლა ხომ აღარ გიკვირს და არ გეოცება, რომ მიუნხენში ყოველ ფეხის გადადგმაზე ასეთ სურათებს ხედავ?

აი, ასეთია მიუნხენელი ქალის მორცხვობა. მას უყვარს და ამ სიყვარულს აღარც მალავს, უყვარს

და ეხვევა თავის სატრფოს ქუჩაში, ბაღში, ყავახანაში, სახლშიც და თეატრშიც, ასეთ ამბავს საზოგადოების აზრი შეჩვეულია და აღარ უკვირს, არც ეხამუშება.

ხანგრძლივია ეს სიყვარული? ხანგრძლივია, მხოლოთ იმ აზრით, რომ მიუნხენელ ქალს ყოველთვის უყვარს, ერთ სატრფოსთან სიყვარული კი — ცოდვა გამჟღავნებული ჯობს — ხანგრძლივი არაა. მიუნხენელ ქალს თავისებურათ უყვარს, როცა სატრფოსთან არის, მას თითქმის მთელი ქვეყანა ავიწყდება, მისთვის ყველაფერი იმ ერთ სატრფოში გროვდება, მასში იყრის თავს, მაგრამ როგორც კი მას მოშორდება და თავის ჩვეულებრივ საქმეს ჰკიდებს ხელს, ეს თავ დავიწყებაც ჰქრება ... ის გრძნობს რომ შეყვარებულია, მისი გული ცარიელი არ არის და მის ბუნებაში თავი საქმეც ესაა... მას სიყვარული უყვარს. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის მისი სიყვარულის საგანი, ვილჰელმი თუ ავგუსტი, ამას მაგდენი მნიშვნელობა არა აქვს...

ფ. პატრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

## ჩ ე მ ი ს უ რ ა თ ი.

(გაგრძელება *)

რა კარგი ყოფილა თურმე უზრუნველი, სახელმწიფო პური — და რა ცუდათ ვაფასებდი მე მას! სემინარიიდან გამომყვა ერთი გახუნებული სერთუკი და დაგლეჯილი პალტო, ჯიბეში ერთი გახვრეტილი ფარაც არა. ან კი საიდან უნდა მქონოდა ფული, ოჯახიდან ხომ არ გამომიგზავნიდენ! მთელი ოჯახი საწყალი მოხუცებული, ავადმყოფ დედიჩემის კისერზე ტრიალებდა და პირიქით ჩემგან მოელოდა დახმარებას, არამც თუ ჩემთვის გამოეგზავნა რამე. აი ამ ჩემ გაჭირვებულ მდგომარეობაში ძალიან გამომადგენ ჩემი ახალი ნაცნობები. ერთ ჩემ ნაცნობ ბობოლას რეკომენდაციით კაი ფასიანი გაკვეთილები ვიშოვე საზაფხულოთ მეორე ბობოლას ოჯახში. ხუმრობაა, ყველაფერ მზა-მზარეულათ, თვეში ოც-და-ათი მანეთი და ამასთან კიდევ ზაფხულის აბასთუმანში გატარება!.. შრომა მაინცა და მაინც დიდი არა მქონდა. ერთი ვაჟი მებარა, რომელსაც გიმნაზიის მეორე კლასში გადასასვლელათ ორ საგნიდან ხელ ახალი გამოცდა ჰქონდა, ბავში ძლიერ ცელქი იყო, მაგრამ ჩემმა მუყაითობამ მაინც ძლია და ორი თვის განმავლობაში ისე მოვამზადე, რომ ეგზამენი ჩინებულათ დაიჭირა და შემდეგ კლასში გადავიდა. ამ ყმაწვილის მომზადება ჩინებულ რეკლამათ გამომადგა. კნეინა უმისოთაც ძალიან მწყალობდა და მათი ვაჟის კლასში გადასვლას შემდეგ ხომ უფრო მწყალობელი შეიქნა. აგარაკიდან რომ ქალაქში ჩამობრუნდა, თავის სასახლეში ერთი ოთახი დამითმო, სანამ ადგილს ვიშოვნიდი, და სასმელ-საჭმელსაც თავის სუფრიდან მიგზავნიდა. ამას გარდა თავის მრავალ ნაცნობებში ძლიერ მიქებდა ხასიათს და ყოფა-ქცევას და აგრეთვე ჩემი სწავლების ხერხს და უნარს. დიდ ხანს არ დავრჩენილვარ უადგილოთ. ქალბატონის წყალობით მალე ერთ ახლათ დაარსებულ სასწავლებელში მასწავლებლის ადგილი მომცეს. ჩემ გულ უხვ მასპინძლებს იმდენი წყალობისათვის დიდი მადლობა მოვახსენე და ახალ ბინაზე გადავებარგე.

ძალიან შევცდი, სწორე მოგახსენოთ, მასწავლებლობა ჩემი საქმე არ იყო. მე რომ ადმინისტრაციაში დამეწყო სამსახური, დღეს თვალ-საჩინო ადგილს მექნებოდა დაჭერილი, მეტი თუ არა, მაზრის უფროსი მაინც ვიქნებოდი, თუმცა ახლაც კი გვარიანი გამოსარჩენი ადგილი მიჭირავს.

ყველა მამულის მოყვარე ქართველის თვალი ამ სასწავლებლისკენ იყო მიმართული, დღე ერთი იყო და მნახველი — ასი. როგორც მოგახსენეთ პედაგოგობისადმი ლტოლვილება არ მქონია, ამასთან ეს საგანი ჩემთვის სრულიად ახალი იყო და 50 ყმაწვილის სწავლება ძლიერ მეძნელებოდა. მუყაითათ მივყავი ხელი საპედაგოგო ლიტერატურას და სულ მოკლე ხანში პესტალოცი, დისტერვეგი, კამენსკი, ქაკოტა და სხვ. სრულიად ჩავყლაპე, ე. ი. გადავიკითხე რაკი ამ ავტორიტეტების ზოგიერთი ალაგები ვაიზეპირე, თამამათ დავიწყე ლაღადი პედაგოგიურ კითხვების შესახებ... პროფანებთან, ნამდვილ პედაგოგებთან, ამის შესახებ სჯა-ბაასს აბა როგორ გავბედავდი ან კი ვინ არაა პროფანი ამ საგანში? ჩვენს ვითომ და პედაგოგებში ნამდვილ პედაგოგს ათასში ერთს იშვიათათ შეხვდებით. მარტო თეორიით ხომ ფონს ვერ გავიდოდი, მასწავლებლისათვის თეორიაზე არა ნაკლებ, კიდევ უფრო მეტათ საჭიროა პრაქტიკაც. ხოლო პრაქტიკის შესაძენათ საჭიროა შრომა და მუყაითობა, სხვა არაფერი. საზოგადოების თვალში რომ სამაგალითო მასწავლებელი გავმხდარიყავ და ამის წყალობით სამსახურის უმაღლეს საფეხურზე დავსკუპებულიყავ. შრომა-მუყაითობას როგორ დავზოგავდი. მეც დავიწყე ყმაწვილების ნასადილეობით სწავლება და, რასაც ნასადილევს, როგორც რუსები ეტყვიან, на черно ვასწავლიდი, იმავე მასალას მეორე დღეს на бѣло გადავცემდი და, რასაკვირველია,

---

*) იხ. „კვალი“, № 25

გაკვეთილის ცოცხლათ გატარებას და მასთან გადაცემული მასალის შეგირდების მიერ სწრაფათ შეთვისებას მაყურებლები დიდ გაოცებაში მოჰყავდა. ასე და ამა პირსა ზედა, მალე ძალიან კარგი პედაგოგის სახელი მოვიხვეჭე.

ჩვენ სასწავლებელს ბევრი ძიძა-პატრონი ჰყავდა. მოგეხსენებათ, სხვა და სხვა კაცს ხასიათიც სხვა და სხვა აქვს. ყველას გულის მოგება ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ ჩემთვის, ჩემ ძვირფას თვისებათა წყალობით დაბრკოლება არ არსებობდა. უფროსების წინ ამოდენა ახმახი კაცი ისე დავმოკლდებოდი, რომ მუშტის ტოლათ გადავიქცეოდი და ფეხ-ქვეშ გავეფინებოდი. მეტ ძალას სადაც შევამჩნევდი, ჩემი გუდა-ნაბადით მეც იქ გავჩნდებოდი. საითაც ქარი ჰქროდა, ჩემი ნავიც იქით მიექანებოდა; თუ ქარი უცაბედათ მობრუნდებოდა, ჩემი ნავის ორთა ყვირსაც სწრაფ მოვაბრუნებდი და საიმედო ნავთ-სადგურში ვაფარებდი თავს. ყოველსავე ამას ისე ოსტატურათ ვახერხებდი, რომ არც ერთხელ ფეხი არ წამიცრავს, ჩემ საქციელში ეჭვიც კი არავის შეუტანია, ყველანი პატივს მცემდნენ.

საქმე ჩინებულათ მიდიოდა, მაგრამ რუსული ანდაზისა არ იყოს; „სარტყელს ზემოდ ვერ ახტებიო", მეც ჩემი სემინარიის დიპლომით შორს ვერ წავიდოდი. სამსახურში დაწინაურების, ანუ გაბატონების მადა კი ძალიან დიდი მქონდა. რამე ნაირათ უმაღლეს სასწავლებელში უნდა შევმძვრალიყავი, მაგრამ ამისათვის ჯამაგირიდან გადანარჩენი ორიოდე გროში რას მიზამდა. გავძვერ გამოვძვერ ჩემს ნაცნობ ბობოლებში და თვალების გადანარევით, მკერდში მუშტის ცემით და ნიანგის ცრემლთა ღვრით გავუბი სამშობლო სამსახურის შესახებ მუსაიფი: „არც ცოლს დავეძებ, არც შვილს, ჩემს ჯანსა და ღონეს სამშობლოს სამსახურს შევალევ, მაგრამ მარტო სურვილით რას გაარიგებ, სურვილთან ცოდნაც უნდა გქონდეს, მე კი რა ცოდნა გამოვიტანე სემინარიიდან? თუ რამ ვიცი, ისევ ჩემი შრომა-მეცადინეობის წყალობით. ჩემი ცოდნა კი, რა დასამალავია, მეტათ მცირეა. სიღარიბეს რომ ჩემთვის უმაღლესი სასწავლებლის კარები არ დაეხშო, შეიძლება მეც არა მცირედი სამსახური გამეწია სამშობლოსათვის".

ჩემი სირინოზისებური ხმა ჩვენ პატრიოტებს გულში მაგრა მოხვდათ. მირჩიეს რუსეთში გაემგზავრებულიყავ და ნივთიერათ დახმარება აღმითქვეს, ხელის მოწერისა და წარმოდგენის გამართვით სამას მანეთამდე მომიგროვეს და რუსეთისკენ გამისტუმრეს. სანამ რუსეთში გავემგზავრებოდი, შინ გავიარე. იმდენი ხნის უნახავი დედა სიხარულით კინაღამ შეიშალა. ჩემი უნცროსი დები და ძმები მოწიწებით ათვალიერებდნენ ჩემ მორთულობას და „ბატონობით" მიხსენიებდნენ. დედა ხომ სულ თავს მევლებოდა.

— უი, შენ კი დაგენაცვლოს შენი დედა, რა ვაჟკაცი შექნილხარ! განა პატარაობისას არ გეტყობოდა, რომ ბატონი შეიქნებოდი!.. სულ ბატონობანას თამაშობდი და შენს ძმებსა და დებს თავ-პირს ამტვრევდი. არა ღირსვარ, ღმერთო, ასეთ ბედნიერებას! ახლა რომ შენ ცოლ-შვილსაც მოგესწრებოდე, მერე თუნდა მოვკვდე, აღარ ეჩივი.

— ნუ გეშინია, დედა, ყველაფერს მოესწრები! აი, რუსეთიდან რომ ჩამოვბრუნდები, მაშინ ნახავ როგორ გაცხოვრო. სულ ორ-ორ გოგო-ბიჭებს დაგაყენებ თავზე მოსამსახურეებათ. ახლა თქვენ რომ გგონიათ, არც ისე დიდი ბატონი ვარ, ჩემი ჯამაგირი მეც ძლივს მყოფნის საცხოვრებლათ; მაშინ კი იმოდენა ჯამაგირი მექნება, რომ მეც კარგათ მაცხოვრებს და ოჯახსაც დოვლათით აავსებს.

რუსეთის ხსენებაზე დედაჩემს ელდა ეცა. ბევრი მეხვეწა, მემუდარა: „მაგ განზრახვას თავი დაანებე, აგერ ძალიან მზითვიანი ქალი მყავს შენთვის არჩეული, შვირთე და შენი შვილების ნახვით გამახარეო", მაგრამ გადაწყვეტილება ჩემი იყო მტკიცე და შეურყეველი.

— ამდენი თუ გითმენია, დედა, ცოტაც კიდევ მოითმინე და ნახავ, როგორ მეფურათ გაცხოვრებ, მე ბევრი იქ არ დამიგვიანდება, მანამ კი აი ეს ასი მანეთი ცოტ-ცოტა იხარჯეთ, როგორმე თავი შეინახეთ და მერე ღმერთია მოწყალე.

ფულებმა ცოტა არ იყოს დედაჩემიც მოალბო. ამდენი ფული ერთათ, ეგონებ, თავის სიცოცხლეშიაც არ ენახა საბრალოს. აკანკალებული ხელით გამომართვა საწყალმა ფული, მაგრა გამოჰკრა ჭინჭვებში და ზანდუკში შეინახა.

დიდ ხანს შინ აღარ დავრჩენილვარ. ჭვარტლიან სახლში ველარ გავძელ და მესამე დღეს რუსეთისაკენ გავემგზავრე.

მალე პეტრეს ქალაქშიაც თავი ამოვყავი. სატახტო ქალაქის უცხო სანახავებმა თავ ბრუ დამასხა. ფულის დახარჯვა თუმცა ძლიერ მეზარებოდა, მაგრამ უფულოთ არაფერი ინახვებოდა. ძალიან წუწკათ ვხარჯავდი, მაგრამ თითო-ოროლა მანეთობით ქისა მაინც მალე გამითხელდა. ამასობაში აკადემიაში ეგზამენის დროც მოახლოვდა. თხოვნა და საჭირო საბუთები ადრევე წარდგენილი მქონდა და დანიშნულ ვადაზე ეგზამენზე გამოვცხადდი. ბერძნულ-ლათინურში არც სემინარიაში ვიყავ მაინცა და მაინც დიდი ბედაური და ამ ხნის განმავლობაში სულ მთლათ გადამვიწყებოდა ის შეჩვენებული და საძაგ-

ლათ ჩავიჭერ. თავი რომ მოგეჭრათ, შინ როგორ გამოვბრუნდებოდი ასე შერცხვენილი. ვითხოვე თავისუფალ მსმენელთ მაინც მიეღეთ და ამაზე, საბედნიეროთ, უარი აღარ უთქვამთ. დავდიოდი ყოველ დღე ლექციებზე, სანამ ფული მთლათ არ შემომელია. ქისა რომ მთლათ გამოიცალა, დავიწყე ჰეტიალი გაკვეთილების საშოვრათ, მაგრამ მე ვინ ოხერი მომაშავებდა, როცა ჩემზე უკეთესებიც კი ასობით დაეძებდენ გაკვეთილებს. გამიჭირდა, ძალიან გამიჭირდა ცხოვრება. ჩემ ნაცნობ ბობოლებსაც თითქო გადავავიწყდი. უკანასკნელი კაპეიკებით წერილები გავუგზავნე სამიოდე ჩემ ნაცნობს და საზოგადოთ სტუდენტების გაჭირებული ცხოვრება აღუწერე. ვთხოვდი რამე შემწეობა აღმოეჩინათ ამდენ გაჭირებულთათვის, მაგრამ ამაოთ, პასუხიც კი არ მიმიღია. შევცდი, თავ-მოყვარეობამ არ დამანება, თორემ მარტო ჩემთვის რომ მეთხოვა, შეიძლება ცოტაოდენი რამ მაინც გამოეგზავნათ, უთუოდ იფიქრებდენ: „ამდენ მშიერ მუცელს ასი და ორასი მანეთი მაინც ვერ დააოკებსო" და სულ გამოუგზავნელობა არჩიეს. ყველაფერი გავყიდე, თუ კი რამ გამაჩნდა, ვერ შეველიე გასაყიდათ მხოლოდ ჩემ საზამთრო პალტოს. ჩრდილოეთის ყინვა-სიცივე უმისოთაც ნემსებივით ძვალსა და რბილში მივლიდა და ესეც რომ გამეყიდა, ხომ სამ დღესაც ვერ გავძლებდი.

სიცივემ და შიმშილმა საძაგლათ მამბულნკა. თვალები უბეში ჩამიცვივდა, მხრები მხარ მოტეხილ ბატსავით ულონოთ ძირს ჩამომეშვა, მკერდიც თითქო თავის ბუდეში ჩაძვრა და მთელი სხეული რკალსავით მომეკაკვა. ისე გავხდი და დავმჭლევდი, როგორც ჩვენებური აზნაურის ძაღლი. ერთი სიტყვით წავხდი კაკალი კაცი! ლექციების დარდი ვიღას ჰქონდა. კაი ნაგეშ მეძებარივით დავძრწოდი ლუკმის საძებრათ ნაცნობ სტუდენტებში და სწორეთ იმ დროს მივადგებოდი კარებზე, როცა სადილათ სხდებოდენ, „მკვდარი მკვდარს აეკიდაო", რომ იტყვიან ჩემი საქმეც სწორეთ ისე იყო; საწყლებს თვითონ არა მოეძეოდათრა, მაგრამ მაინც ლუკმას შუაზე მიყოფდენ და მთელი ზამთარი ასე გამიტანეს. რომ არა მეშველარა, გაზაფხულზე შინ წამოსასვლელათ სტუდენტების კასსიდან ასი მანეთი ვისესხე, ამ ფულით ზოგი იქაური წერილმანი ვალები გადავიხადე და სამშობლოსაკენ გამოვემგზავრე. თუმცა ადვილათ შემეძლო ეს ვალი გადამეხადა, მაგრამ დღესაც გადაუხდელი მაქვს. ერთ ხანს კი მწერეს წერილები, ვალი გადაგვიხადეო, მაგრამ მე გავჩუმდი და უბრალო პასუხიც კი არ შემითვლია. გამოცდილებით ვიცი, ამისთანა შემთხვევებში გაჩუმება საუკეთესო საშუალებაა. ბოლოს, როცა წერა მობეზრდათ, თავი დამანებეს. როგორც შევიტყე, ჩემი ვალი ჩემი თავდებებისათვის გადაეხდევინებიათ. მაინცა და მაინც დიდათ არ შევუწუხებივარ ამ გარემოებას. არა უშავთრა, კარგა მსუქნათ არიან, დიდათ არ დააკლდებათ, ხომ მოგეხსენებათ, „სხვათა ჭირი, ლობეს ჩხირიო"..

ჩამოვედი თუ არა ჩვენ სამშობლო დედა ქალაქში, მაშინვე ჩემ ნაცნობ ბობოლებს მივმართე. მინდოდა თავი მომეგონებინა და რამე ადგილი მეთხოვა. ჩემ დანახვაზე ელდა ეცათ, მოჩვენება ეგონეთ, დაიწყეს თავის მართლება და ქართველური დაუდევრობის კიცხვა. ჩემთვის ფულების გამოუგზავნელობას ერთი მეორეს აბრალებდა, მეორე მესამეს..

— რუსები რომ იტყვიან **все къ лучшему**-ო, სწორეთ ნამდვილია, მითხრა ერთმა.—აი, შენი უდროოთ ჩამობრუნებაც კი საუმჯობესოა. სწორეთ ბედზე მოგვესწარ. ამხანაგობა ხსნის ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში პირველ დაწყებით სკოლებს. სამშობლო განსაცდელშია, ერთი კუთხე მაინც ლამის მთლათ ხელიდან გამოგვეცალოს. აი, სად გვეჭირვება ნამდვილი მამულის მოყვარე მუშაკი. თქვენი გამოცდილი გარჯა-მუყაითობა თავმდებია მისი, რომ თქვენ ჩინებულათ წაუძღვებით მონდობილ საქმეს, თქვენდამი მონდობილმა სკოლამ უნდა გაჰფანტოს იმ კუთხეში სიბნელე და მკვიდრთა გულში დროებით მიმქრალი მამულის სიყვარული კვალად გაალვიოს. თქვენ ღვაწლს ისტორია არ დაივიწყებს და მადლიერი შთამომავლობა სიყვარულით მოგიხსენიებსთ. სასყიდელი ჯერ ჯერობით თუმცა მცირე გექნება, მაგრამ შემდეგში უთუოთ მოგემატებათ. იქაური ზღვის პირის თბილი ჰაერი თქვენ ჩრდილოეთ ს ყინვებისაგან დასნეულებულ სხეულისთვისაც ძალიან სასარგებლო იქნება.

მართალია, ადგილი დიდი არ იყო, მაგრამ მოხერხებული კაცი პატარა საქმიდანაც დიდ ქონს გამოადნობს, ამ მოსაზრებით არც მე დავმდგარვარ უარზე; ასეთი ნდობისათვის მადლობა მოვახსენე და აღვუთქვი მტკიცეთ ემდგარვიყავ მათ მცნებაზე და ჩემი ძალ ღონე არ დამეზოგა ამ ნდობის გასამართლებლათ.

დადგა ზაფხული და მეც დანიშნულ ალაგას გამომისტუმრეს. საგზაოთ ასი მანეთი დამინიშნეს და სკოლის პირველ მოწყობისათვის, ავეჯებისა თუ სხვა სასკოლო ნივთების შესაძენათ და სახლის საქირაოთაც ათასი მანეთი მომცეს, გამოვართვი თუ არა ეს ფული ხაზინადარს ს. №-ში გამოვემგზავრე.

„ბე—ლი".

(დასასრული იქნება)

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! „კვალი"-ს მე 23 №-ში მოთავსებულია წერილი ბათუმიდან ბ. თოფურიასი, რომელიც აუწყებს მკითხველებს „ბათუმელ ქართველ არტელთა" წარსულს. მკითხველი საზოგადოება რომ შეცდომაში არ შეიყვანოს იმ წერილმა, რომლის ავტორი მარტო თავის ზარალს ცნობილობს და სხვისას კი არა, ამისთვის საჭიროთ ვჯანი ვაუწყო მკითხველებს ზემოთ ხსენებული „არტელის" მოქმედება.

„არტელი"-ს ტიტული და უმაღლესათ დამტკიცება საკმაოთ აქვს მოხსენებული ბ. თოფურიას, მხოლოთ საჭიროა გავიგოთ, ნამდვილი მოქმედება მათი, თუ რა წრის კაცებისგან შედგა „არტელი" და როგორ მოქმედებდენ ქარხანაში. *) „არტელჩიკთა" რიცხვი 50-მდე უნდა ყოფილიყო, თუ კიდევ მეტი ეს კარგათ არ ვიცი. თუმცა წესდება სხვას ამბობდა, მაგრამ „არტელი"-ს მოქმედება ქარხანაში და მისი საერთო მიდრეკილება სხვა იყო. მას უნდა ექირავებინა დღიურათ კაცი და ემუშავებინათ (უთუოთ ზედმეტი უნდა ემუშავნათ მუშებს, თვარა „არტელი" ხომ ტყვილა არ დაადგებოდა დარაჯათ თავზე), რომლის სარგებლით ვინ იცის რას არ აპირებდენ; ერთი სიტყვით ის „არტელი", მკითხველო, მუშათა არტელი არ გეგონოს, ის „პოდრაჩიკთა-არტელი" იყო; იმავე მიზნით, რაც მიზანი ყველა „პოდრაიჩიკებს" აქვსთ. შეიძლება იკითხოს ვინმემ: რამ აიძულათ „არტელათ" მოგროვებაზე და რატომ კერძოთ არ მოქმედებდენო? ცხადია ხომ, რომ მოგროვილ ძალას მეტათ ეხერხება ავიც და კარგიც ვინემ ერთს ან ორს, ამისთვის მოგროვდენ ერთათ, რომ თანხაც შეეგროვებინათ და მუშებთან ნდობაც, რაც იმათ აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მუშის გას...

ჩემი მიზანი არ არის გამოვარკვიო, ვინ მტყუანია იმ სჩივარში (იხ. „კვალი" 23 № რი 1898 წ.) ქარხნის გამგე თუ „პოდრაჩიკთა-არტელი?" არამედ მიზნათ მაქვს გაცნობო, მკითხველებს, რამდენიმე მოქმედება „პოდრაჩიკთა-არტელისა" ქარხანაში. თითონ საქმე ვერ განაგეს, როგორც რიგი თხოულობდა, რადგან მუშათა არტელი ვერ შეადგინეს, რაც აუცილებელი საჭიროებაა იმგვარ სამუშაოში, როგორიც იმათ ქარხანაში ჰქონდათ აღებული, მაშინ დიდ თათბირს შემდეგ, გადასცეს მოიჯარადრეს ე. ი. ქარხნის გამგედან „პოდრაჩიკთა-არტელს" უნდა აელო საქმე, ხოლო „პოდრაჩიკთა-არტელი"-დან კერო მოიჯარადრეს. აქ მათი მოქმედება, „მოდი ვნახოთ ვენახის" ზღაპარსა ჰგავს; მოიჯარადრე მუშას აძრობს ტყავს, მოიჯარადრეს „პოდრაჩიკთა არტელი", „პოდრაჩიკთა არტელს" ქარხნის გამგე; ამგვარათ ბევრს გამოუცვალეს მსუქანი ტყავი. ახლა ხედავს, მკითხველი, თუ რა „არტელ"-ს აქვს სჩივარი ქარხნის გამგესთან. მაშ რა საჭიროა ჩვენ, მუშათათვის, „პოდრაჩიკ-არტელთა" სჩივარი ქარხნის გამგესთან და იმათი სიმტყუნ-სიმართლე? სულ ერთი არ არის ბ. თოფურიავ, მგელს შევუჭამივარ თუ მგლის ფერ ტურას?

იმ „არტელის" ერთი მუშათაგანი.

---

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემ წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალში."

„ივერიის" მე № 119-ში მოთავსებულია ოდესის ქართველ სტუდენტების წერილი, რომელსაც აქვს უმთავრეს მიზნათ დაამციროს და ჩირქი მოსცხოს „ჩვენი ახალი თაობის" ავტორს, მხოლოთ იმისთვის, რომ მან წარმოთქვა ახლანდელ ჩვენ სტუდენტობაზე თვით სტუდენტებისათვის არა სანატრელი აზრი. ვისაც სურს გაიგოს, რა ნიადაგზედ აშენებული ზემო აღნიშნული წერილი, წაიკითხოს „ჩვენი ახალი თაობის" 8-26 გვერ. და მაშინ ცხადათ დაინახავს, რისთვის გაშრობია ნერწყვი ამ წერილის ავტორს. მე კი პირადათ ძრიელ მოხარული ვარ რომ სტუდენტობაზე ჩემ მიერ წარმოთქმული აზრი თანდათან მართლდება და ეგ წერილიც ნამდვილ საბუთათ ხდება იმ შეხედულების დასამტკიცებლათ, რომელიც დადგენილია „ჩვენს ახალ თაობაში" ჩვენი ეხლანდელი სტუდენტების უვარგობის შესახებ. მე ეგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილს ყურადღებას მიაქცევს მხოლოდ ის, ვინც განვითარებით ეთანასწორება თვით ამ წერილის ავტორს და მის ამხანაგებს. ხოლო ჭეშმარიტებისა და სინათლის მოყვარული მკითხველი ყოველთვის დაჰგმობს სტუდენტების ამ გვარ საქციელს, რადგან ეგ საქციელი ნამდვილ შურის მაგიას წარმოადგენს, რაც შეეხება ამ წერილის არსებითს პასუხს მე ჩემი თავის დამცირებათ ვთვლი ინსინუაციაზე და

*) არტელთა პროექტი თუ არ ვცდები ბ.ბ. გიორგი წერეთლის და თომა ჩიკვაიძის დასწრებით შედგა. არტელის წევრები იყვნენ: მიკიტანი, მეწვრიმალე, მეეტლე, მედროგე, ყასაბი და სხ.

დაცინვა-გინებაზე ვისმე პასუხი გაეცა.—ამ წერილს კეთილშობილური ხასიათი რომ ჰქონდეს, იმ შემთხვევაში ჩვენ ქალის სიამოვნებით ავხსნიდით იმ გარემოებას, რომელიც იქ აღძრულია. 1) ახლა კი ჩვენ ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: თუ სტუდენტობას სურს მაღლა ეჭიროს თავისი დროშა, უმჯობესია ინსინუაციებს თავი დაანებოს და იმ გვარ მაღალ საგნებს შეუდგეს, რომლებითაც იგი დაიმსახურებს ყველასაგან ნამდვილ პატივისა და კეთილ სახელს.

მ. სალარაძე.

## საქველ-მოქმედო საქმე

Ბატონო რედაქტორო! 22 თებერვალს, ეს ყველა ქართველთათვის დაუვიწყარი დღე, ონელებმაც ვიდღესასწაულეთ. ჩვენი მეფეთა-მეფე ერეკლეს სული ჩვენც შევავედრეთ უფალს და განვიზრახეთ რომ ამ შესანიშნავ გმირის სახელზე დაარსებულ ფონდის სასარგებლოთ ცოტა რამ ჩვენც შეგვეგროვებია. გიგზავნით ჩემგან შეკრებილ 37 მანეთს 70 კაპ. და მასთან შემომწირველთა სიასაც. გთხოვთ ფული გადასცეთ სადაც ჯერ არს და სია კი გამოაცხადოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალში". სია შემომწირველთა: 5 მ. თ. ვან. დადეშქელიანმა 3 მ. — სერგო აპალიანმა. 2 მ. დავ. გრ. გვიტაშვილმა. თითო მანეთი: ვლად. ალ. კორინთელმა, ზაქ. დ. საყვარელიძემ, პავლ. ეგ. დუნინ-ვასხოვიჩმა, ნოშ. ბეჟ. ხარაძემ, მალაქ. ი. ჯაფარიძემ, პარ. დავ. გაბრელიძემ, დავ. რომ. გოცირიძემ, თავ. პარ. ყიფიანმა, ან. ჩალაძემ, ბეს. მიზ. მდივანმა, ოლ. გას. მაჭავარიანისამ, ილ. პავ. მაჭავარიანმა, მათე ვაც. გვედელიანმა, ყარ. გრ. ყიფიანმა, გრ. მარგ. გრძელიშვილმა, მიხ. ჯაფარიძემ. 50 კაპ: მალ. ნეს. ჯაფარიძემ, მაგ. ჯანუაშვილისამ, მაკ. გაგრიაშვილისამ, დავ. ურუშაძემ, სვ. ოსიძემ, მიხ. ჯაფარიძემ, თავ. მიხ. მინ. ჯაფარიძემ, ვას. გრ. ჩიკვაიძემ, მერ. სპ. წერეთლისამ, ლენ. იაშვილმა, გიორ. ომიაძემ, ნიკოლოზ მდივნელმა, ას. იაშვილმა, ლუარ. საყ. მახარაშვილმა. 40 კაპ: ივ. იოს. ჯაფარიძემ, კოს. სერ. მენგელიამ, რაჟ. გრ. ნანუკოვმა, მირ. ომიაძემ, გოგია მეტრეველმა. 30 კ.: იოს. დვალმა. 25 კაპ: კოსტ. ჯაფარიძემ. 20 კაპ: სტან. ბაქრაძემ, სიმონ გოგრიჭიანმა, თავ. დავ. ერისთავმა, გლოხ ბიძიაშვილმა, არჩ. იოს. ჯაფარიძემ. 15 კაპ. კარ. ჯაფარიძემ.

დარია ივანეს ასული ქავთარაძისა.

თავმჯდომარე ამ კომიტეტისა კნ. ნ. ქობულოვისა დიდ მადლობას უძღვნის, როგორც თვით დარია ქავთარაძისას, აგრეთვე ყველა შემომწირველთაც.

1) კარგი იქნებოდა ავტორს ესეც აეხსნა.

რედ.

## „კვალის" ფოსტა.

ბათუმში. ბ. ლ. ბ—შვილს. თქვენ წერილს „ცოდნის სალაროს შესახებ" არ ვსტამბავთ. ამ საგანზე საკმაო ითქვა და თუმცა ამ წიგნის ავტორი ძლიერ გვარწმუნებს კაი წიგნიაო, მარა თავის ქებას ახლა ცოტა გასავალი აქვს. თუ მას თქვენი რამე მართებთ - ჯობს ისევ კერძო წერილით მიმართოთ.

—

ხონში ბ. დამსწრეს. როცა ორ მოკამათეთა შორის რედაქცია ერევა და თავის მსჯავრს დებს ამით ის სპობს თავის გაზეთში იმავე კითხვაზე კამათს.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი.

ლ ე ქ ს ე ბ ი

თხზულება განდეგილისა.

ავტორის სურათით. ფასი ათი შაური (გაგზავნით თერთმეტი შაური). ვინც ათ ცალს დაიბარებს—წიგნი ცხრა შაურად დაეთმობა, ოც-და-ხუთ ცალს—ორ აბაზად.. (3—2)

„კვალის" და „ჯეჯილის" რედაქცია გადავიდა 14 ივნისიდან. არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით სწორედ იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

გამოვიდა საბავშო წიგნი
„პატარა ლორდი"
ჯეჯილის რედაქციის გამოცემა
თარ. ეკ. წერეთლისა
ფასი 30 კაპ.
იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 20 Іюня 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.